ანოტაცია

კვლევის მიზანს წარმოადგენს ლანდშაფტური დაგეგმარება ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის (ბოლნისის მუნიციპალიტეტის მაგალითზე). მიზანთან დაკავშირებულია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1. განსაზღვრულ იქნას ბოლნისის მუნიციპალიტეტის ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგიური საფუძვლები ლანდშაფტური გეგმის დონეზე;
2. გამოვყოთ ტურიზმის არსებული და პერსპექტიული სახეები, რომელთა დანერგვაც შესაძლებელი და ხელსაყრელი იქნება ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის;
3. განვიხილოთ ბოლნისის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული და ეკოლოგიური თავისებურებანი;
4. გამოვავლინოთ ლანდშაფტური დაგეგმარებისთვის მნიშვნელოვანი ბუნებრივი და ანთროპოგენული კონფლიქტები. მათ მიხედვით კი განისაზღვრება დარგობრივ-გეგმარებითი და ინტეგრირებულ-გეგმარებითი მიზნები.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნება ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის საბოლოოს მიზანს წარმოადგენს იმ დარგობრივი რეკომენდაციების შემუშავება, რომლის მიხედვით ჩატარდება ტერიტორიების ზონირება მათი შენარჩუნების, განვითარების და გაუმჯობესების მიზნით. კვლევის მეთოდოლოგიას ასევე მიუკუთვნება ადგილობრივი საზოგადოების აზრის შესწავლა და გათვალისწინება. იგი განხორციელდება სპეციალურად შექმნილი სოციოლოგიური კითხვარის (ანკეტის) მეშვეობით.

პროექტის განხორციელების შედეგად წარმოჩინდება რამდენიმე სიახლე, რომელთაგან მნიშვნელოვანია:

1. პირველად შეიქმენა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ამსახველი გეოინფორმაციულ მონაცემთა ბაზები;
2. პირველად იქნება გამოყენებული ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია არა მარტო ბოლნისის რაიონის ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის, არამედ ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესებისთვის;
3. პირველად განისაზღვრება ბოლნისისთვის ტურისტული პოტენციალის გეოგრაფიული სახესხვაობანი, რის საფუძველზეც დაგეგმარდება ტურისტული მარშრუტები;

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს როგორც ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგიის დახვეწას, ისე ბოლნისის მუნიციპალიტეტში ტურიზმის და საბოლოო ჯამში, მეურნეობის სხვადასხვა მიმართულების (ინფრასტრუქტურის) განვითარებას.